აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ 2016 წელს

2017 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა **3**

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2017 წლის 01 იანვრისათვის 3

ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებილ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით . 4

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2017 წლის 01 იანვრისათვის..... 5

დიაგრამა № 3:აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2017წ. 01 იანვრისათვის-2015წ. 01 იანვრისათვის 5

სოციალური სფერო **12**

ჯანდაცვა *12*

განათლება, კულტურა, სპორტი *20*

ეკონომიკის სფერო **25**

ბიზნეს სექტორი *25*

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2016-2015 წ.წ. მოქმედ ფასებში 25

პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება *26*

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2016-2015 წ.წ. 26

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 27

2016-2015წ.წ. 27

დიაგრამა № 7: ენერგოსაწარმოებში საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2016-2015 წ.წ. მოქმედ ფასებში 27

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები *27*

დიაგრამა № 8: შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2016-2015 27

დიაგრამა № 9: შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2016 წელს 28

სოფლის მეურნეობა **29**

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება **32**

გეოლოგია **36**

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი **37**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი **39**

დიაგრამა № 10: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2016 წ. 39

დიაგრამა № 11: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით 2016-2015წ.წ. 39

ცხრილი № 2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები 2016 წელს 40

დიაგრამა № 12: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2016 წელს 41

დიაგრამა № 13: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2016-2015წ.წ. 41

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2016 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2017 წლის 01 იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 238 934-ს, მათ შორის ქ. თბილისში – 100 710 (42,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთში – 87 774 (36,7%), იმერეთში – 26 208 (11%), აჭარაში – 6 856 (3,0%), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში – 793 (0,3%), გურიაში – 519 (0,2%), ქვემო ქართლში – 9 445 (3,9%), შიდა ქართლში – 2 226 (0,9%), კახეთში – 1 220 (0,5%), სამცხე-ჯავახეთში – 2 273 (0,9%), მცხეთა-მთიანეთში – 910 (0,4%), კომპაქტურად ჩასახლებული იყო 8 720 (3,6%), ხოლო კერძო სექტორში – 230 214 პირი (96,4%). მიმდინარე პერიოდისათვის ქვეყნის მასშტაბით არაპრივატიზებულ კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტთა რაოდენობა შეადგენდა 678 ერთეულს.

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2017 წლის 01 იანვრისათვის



ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებილ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

	რიცხოვნობა			პროცენტობით ჯამთან		არაპრივატიზებული კომპაქტ. ობიექტ. რაოდენობა
	სულ	მათ შორის		მათ შორის		
		კერძო	კომპ.	კერძო	კომპ.	
სულ	**238934**	**230214**	**8720**	**96,4**	**3,6**	**678**
მათ შორის:						
აღმოსავლეთ საქართველოში	**116784**	**114204**	**2580**	**97,8**	**2,2**	**222**
ქ. თბილისი	100710	98802	1908	**98,1**	**1,9**	170
ქვემო ქართლი	9445	9289	156	**98,3**	**1,7**	14
შიდა ქართლი	2226	2106	120	**94,6**	**5,4**	21
მცხეთა-მთიანეთი	910	819	91	**90,0**	**10,0**	8
კახეთი	1220	1204	16	**98,7**	**1,3**	5
სამცხე-ჯავახეთი	2273	1984	289	**87,3**	**12,7**	4
დასავლეთ საქართველოში	**122150**	**116010**	**6140**	**95,0**	**5,0**	**456**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	87774	83947	3827	**95,6**	**4,4**	350
აჭარა	6856	6837	19	**99,7**	**0,3**	1
იმერეთი	26208	23969	2239	**91,5**	**8,5**	94
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	793	738	55	**93,1**	**6,9**	11
გურია	519	519		**100,0**		

2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 4 241 პირით (1,8%). კერძოდ: ქ. თბილისში (2 623 იგპ-ით ანუ 2,7%-ით), ქვემო ქართლში (201 იგპ-ით ანუ 2,2%-ით), შიდა ქართლში (107 იგპ-ით ანუ 5,0%-ით), მცხეთა-მთიანეთში (12 იგპ-ით ანუ 1,3%-ით), კახეთში (15 იგპ-ით ანუ 1,2%-ით), სამცხე-ჯავახეთში (44 იგპ-ით ანუ 2,0%-ით), სამეგრელო-ზემო სვანეთში (660 იგპ-ით ანუ 0,8%-ით), აჭარაში (111 იგპ-ით ანუ 1,6 %-ით), იმერეთში (492 იგპ-ით ანუ 1,9%-ით), გურიაში (20 იგპ-ით ანუ 4,0%-ით). დევნილთა რაოდენობა შემცირდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (44 იგპ-ით ანუ 5,3%-ით). არაპრივატიზებული კომპაქტური ობიექტების რაოდენობა შემცირდა 73 ერთეულით ანუ 9,7%-ით.

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2017 წლის 01 იანვრისათვის



დიაგრამა № 3:აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2017წ. 01 იანვრისათვის-2015წ. 01 იანვრისათვის



საანგარიშო პერიოდში იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქ. თბილისსა და რეგიონებში გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, განხორციელდა პროგრამები. გაიმართა შეხვედრები დევნილებთან. საქმიანობაში პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და რეაბილიტაცია კომპეტენციის ფარგლებში;
- სოციალური (ჯანდაცვითი და საგანმანათლებლო) პროგრამები;
- იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობა;
- საქართველოს რიგი უწყებების ხელშეწყობით იგპ-თათვის სხვადასხვა სახის, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარება;
- აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის, აგრეთვე გაყოფილ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

გარდა ზემოაღნიშნული პრიორიტეტებისა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მათ შორის დასწრება თეატრებში, საჩუქრების დარიგება დევნილი ბავშვებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის №127 განკარგულებით დამტკიცებული ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იგპ-თა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნით 2016 წლის 5-28 აპრილს მიმდინარეობდა იგპ-ების მიერ განაცხადების შევსების პროცესი, რომელშიც აპლიკანტი დევნილებისათვის სხვადასხვა სახის კონსულტაციის გაწევის მიზნით ჩართული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი. პარალელურად, ხორციელდებოდა განცხადებების შევსება ე.წ. ,,სახლი სოფლად“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი ოჯახებისათვის კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას.

აფხაზეთის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობების მიერ შესწავლილ იქნა ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტები, გაანალიზდა არსებული პრობლემები. მოხდა კომპაქტური ჩასახლებების შენობა-ნაგებობების გადახურვა, ელექტრო და

წყალგაყვანილობების რეაბილიტაცია, გამოსწორდა სამშენებლო ხარვეზები. სარეაბილიტაციო სამუშაოებში დასაქმებული იყვნენ დევნილებიც. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისში მდებარე დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში არსებული კორპუსები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით გაცემულმა საერთო თანხამ შეადგინა სულ 14 514,66 ლარი.

გარდა ამისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ იგპ-ებს გაეწიათ სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები და დახმარებები (დაბადების მოწმობის აღდგენა, სამუშაო სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა). შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაწეულ იქნა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაშიც. მიმდინარეობდა მუშაობა იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2012 წლის 3 თებერვლის N4 ბრძანება. ამავე დადგენილებით დამტკიცდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესი“. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი კომისიების მიერ 2016 წელს სულ შემოვიდა 850 განცხადება, გაიცა 828 დასკვნა (აქედან დადებითი – 791, უარი ეთქვა 37 განმცხადებელს).

2016 წელს სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გაიხარჯა 183 695,5 ლარი, მ.შ. აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით 976 ოჯახზე გაიცა 182 830 ლარი, ხოლო დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების (ბიულეტენი) სახით – 865,5 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართა 3 214 ბენეფიციარმა. კომისიების მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2 255 განცხადება და გაიცა ფინანსური დახმარება სულ 228 400 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდს ,,Finsol" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიატორიაზე მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი 20 ბავშვი, ორი თვის ვადით, დასასვენებლად, მოხალისე ოჯახების მიწვევით, გაემგზავრა ესპანეთის სამეფოში. მასპინძელ ოჯახებში ყოფნის პერიოდში ბავშვები გაეცნენ ქვეყნის კულტურას, დაუმეგობრდნენ თანატოლებს, მონაწილეობდნენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ და ჩატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ მომზადდა ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზები და სხვა).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, სისტემატურად ხორციელდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდის განახლება, რომელზეც ელექტრონული ფორმით თავსდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები. ამასთან, დევნილი მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხებთან დაკავშირებით მოძიებულ იქნა საქართველოს ნორმატიული აქტები (1992-1993წ.წ. აფხაზეთის ომამდე, ომისდროინდელი და შემდგომი პერიოდი), რომლებიც ასევე განთავსდა დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის განახლებულ ვებ-გვერდს დაემატა ახალი ფანჯარა ,,საჯარო ინფორმაცია".

ხორციელდებოდა აგრეთვე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. ყოველკვირეულად მზადდებოდა ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, რომელთა საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს კეთდებოდა აფხაზეთის დე-ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც გაეგზავნა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ჟენევაში, საქართველოს მთავარ პროკურატურას და სხვ. აღნიშნული ინფორმაციების ხელმისაწვდომობის მიზნით, დეპარტამენტის ვებგვერდზე დამატებულ იქნა ფანჯარა ,,ანალიტიკა", რომელზეც განთავსებულ იქნა დეფაქტო აფხაზეთთან დაკავშირებული პუბლიკაციები ,,დეფაქტო აფხაზეთი მასმედიაში" და ანგარიშები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ 37 პიროვნებაზე დადასტურდა ფოტოიდენტურობა. მზადდებოდა ყოველკვირეული ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო მათ საფუძველზე, ყოველი თვის ბოლოს, კეთდებოდა აფხაზეთის დე-ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც მიეწოდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სულ გაწვეულ იქნა 229, ხოლო ალტერნატიულ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში – 6 წვევამდელი. გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 7 წვევამდელმა.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით აქტიური მუშაობა ჩატარდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ. ჩატარდა საქმიანი შეხვედრები დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატთან და მოხდა შეთანხმება გრძელვადიან ერთობლივ სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. დაიგეგმა აგრეთვე პროგრამა აჭარის სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასთან დაკავშირებით ამ რეგიონში ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების მოძიების კუთხით.

გარდა ამისა, ამავე უწყების მიერ ხორციელდებოდა სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარ-ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლებას, ქართველი და აფხაზი საზოგადოების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის. საანგარიშო პერიოდში მეხსიერების კვლევების კავკასიურმა ცენტრმა ჩაატარა სამეცნიერო კვლევა ,,წარსულის ტყვეობაში: ქართველი დევნილების ჩახშული ხმები და სოციალური ინტეგრაციის დილემა", რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა აკადემიური კვლევის განხორციელება და, ამასთან ერთად, დევნილების პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებისათვის თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით პროგრამის ,,ნდობის აღდგენისა და შერიგების

სამშვიდობო რესურსები“ ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე ,,აფხაზეთი დღეს. პრობლემები და გამოწვევები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აკადემიური წრის წარმომადგენლებმა და აფხაზეთის თემით დაინტერესებულმა სტუდენტებმა. ღონისძიების მიზანი იყო ახალგზრდების მეტად ჩართულობა აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

დევნილი ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები შეხვდნენ ქ. ფოთში მცხოვრებ დევნილ ახალგზარდებს. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებდა რეგიონში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების საჭიროებების კვლევას და პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრას, რის საფუძველზეც შემუშავდება პროგრამები, რომლის განხორციელებაშიც უშუალოდ ამ რეგიონის ახალგზარდები მიიღებენ მონაწილეობას. შეხვედრის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 16-და 25 წლამდე ახალგზარდები.

ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განიხილეს ახალგაზრდების მიერ შემუშავებული 8 პროექტი. პროექტების მიმდინარეობისათვის შეიქმნა კონკრეტული ჯგუფი, შემუშავდა გეგმა და განისაზღვრა პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი რესურსი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

- დედის დღესადმი მიძღვნილი საღამო ,,მადლობა უკვდავებაში გარდასულ შვილთა დედებს“;
- ქ. რუსთავში მდებარე №5 პენიტენციალურ დაწესებულებაში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ქალი მომავლის რწმენით“. აფხაზეთის მთავრობამ და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა დაწესებულებას ბიბლიოთეკისათვის საჩუქრად გადასცა წიგნები;
- ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო, ფოტო-გამოფენა ,,მუჰაჯირების ნაკვალევზე“.

ასევე, პროგრამის ,,ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ ფარგლებში განხორციელდა პროექტი, რომლის მიზანი იყო:

- ერთი კვირის განმავლობაში ზუგდიდსა და მისა შემოგარენში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა;
- მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გუნდური უნარ-ჩვევების გამომუშავება, ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

- მოხალისეობისა და აქტიური მოქალაქეობის წახალისება, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

პროექტი განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ პარტნიორობით.

საანგარიშო პერიოდში, ფლორენციაში, ,,კულტურათაშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის“ ფარგლებში, განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც რვა ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები თბილისის, სოხუმის და ბათუმის უნივერსიტეტებიდან. აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა წარმოადგენს ევროკავშირთან სტრატეგიული თანამშრომლობის ამბიციურ პროექტს, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაა პარტნიორ ქვეყნებთან კულტურული თანაშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის წევრის ადა მარშანიას, საქართველოს საელჩოს იტალიაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, რომაულდო დელ ბიანკოს ფონდის, ორგანიზაციის „რონდინე“, საქართველოს საპატრიარქოს, რობერტ კენედის ფონდის, ერნესტო ბალდუჩის ფონდის, აჭარის სკოლის „გორდა“ და სხვადახვა ქვეყნის უნივერსიტეტების მხარდაჭერით.

ამავე პერიოდში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა, ქ. ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული სკოლამ „გორდა“, საპატრიარქოსთან არსებული წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა, აჭარის მთავრობისა და ბათუმის მერიის ჩართულობით, ქ. ბათუმში განახორციელა პროექტი „საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“. ღონისძიების ფარგლებში მოხდა სკოლის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მუზეუმის დათვალიერება, ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართულ-აფხაზური საგის წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა, მეცნიერებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა სხვადასხვა სასწავლებლებიდან. ამავე პროექტის ფარგლებში მოეწყო გამოფენა და პენმარათონის/ფესტივალის მასალების (საუკეთესო ესე) და აფხაზეთის დემოგრაფიული რუკის მაკეტის პრეზენტაცია.

აღსანიშნავია ასევე სსიპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის“ საქმიანობა. ცენტრის მიერ მომზადებული ყველა გადაცემა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის სერვერზე. გარდა ამისა, გადაცემის აფხაზური და ქართული ვერსიები იტვირთება პოპულარულ საიტზე youtube, ეგზავნება როგორც საქართველოს საელჩოებს საზღვარგარეთ, ასევე საზღვარგარეთის საელჩოებსა და წარმომადგენლობებს საქართველოში. ცენტრის რამდენიმე გადაცემა გაიგზავნა გაეროში როგორც

მნიშვნელოვანი ნივთმტკიცება ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა. გადაცემაში ,,აფხაზეთი" გაშუქდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენები. შემოქმედებითი ჯგუფის მიერ ხერხდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოპოვებული ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი. ეს გადაცემა ასევე დიდი ინტერესს იწვევს ენგურს გაღმა მყოფ მოსახლეობაშიც. გადაცემამ შეძლო დაემყარებინა კავშირები ენგურს გაღმა და ენგურს გამოღმა საზოგადოებებს შორის, მის ირგვლივ არსებული გამოხმაურებები ხშირად წინააღმდეგობრივია, მაგრამ იგი ხელს უწყობს ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის დაწყებას. გარდა აღნიშნულისა, გადაცემაში მუდმივად შუქდება დევნილთა სოციალური პრობლემები.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებდა საქმიანობას სხვადასხვა პროგრამებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირები) ამბულატორიული დახმარების პროგრამა*

  ეს მიმართულება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

  - <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი</u>

    პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 15 000 ლარი. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკამ", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 6 690 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 8 310 ლარი. სულ პროგრამა მოიცავდა 60 ეპიზოდს, ერთეულის ფასი – 111,5 ლარი.

    ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ I ნახევარში დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 58 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე (60 ეპიზოდი – 6 690 ლარი), რითაც პროგრამის პირველი ნაწილი დასრულდა.

    გამოცხადდა ახალი ტენდერი ეკონომიის შედეგად დარჩენილ თანხაზე (8 310 ლარი). ელექტრონულ ტენდერში კვლავ გაიმარჯვა შპს ,,იოანე მოწყალეს

სახელობის პრივატ კლინიკამ“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 7 200 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 1 110 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითად გადაწყდა 54 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (60 ეპიზოდი). გაიცა მიმართვები 7 200 ლარზე.

სულ საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 112 ბენეფიციარი (120 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 13 890 ლარი;

- <u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევების კომპონენტი</u>

პროგრამა ამოქმედდა მ.წ. 2 თებერვლიდან.

ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკამ“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 41 300 ლარზე. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 55 000 ლარით. ეკონომიამ შეადგინა 13 700 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილდა 206 ბენეფიციარის (211 ეპიზოდი) განცხადება, მათ შორის:

- ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე – 181;
- ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ანგიოგრაფიით – 15;
- ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ნარკოზით – 15.

ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 41 300 ლარი.

პროგრამის მაღალი მოთხოვნის გამო, არსებული ეკონომიის ხარჯზე, გამოცხადდა ახალი ტენდერი ბიუჯეტით 23 700 ლარი (ეკონომიას 13 700 ლარს დაემატა 10 000 ლარი). ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ავერსის კლინიკამ“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 22 480 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 1 220 ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 89 ბენეფიციარი, გაიცა მიმართვები 22 480 ლარის ღირებულების მომსახურებაზე.

სულ საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 295 ბენეფიციარი (300 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 63 780 ლარი;

- <u>კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის ინსტრუმენტული გამოკვლევების პროგრამა</u> ითვალისწინებდა ბენეფიციართა უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ინსტრუმენტული გამოკვლევების მიღებაში. პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ბიუჯეტი განისაზღვრა

სულ 8 000 ლარით. გამარჯვებული გახდა შპს ,,ავერსის კლინიკა“ სატენდერო თანხით 7 905 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 95 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიამ დადებითად გადაწყვიტა 123 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (132 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 7 905 ლარი;

- ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 15 000 ლარით. მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სსიპ ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკა“ სატენდერო თანხით 7 998,60 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 7 001,40 ლარი.

  ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიამ 2016 წლის 6 თვეში დადებითად გადაწყვიტა 31 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (60 ეპიზოდი).

  არსებული ეკონომიის ხარჯზე (7 001 ლარი) გამოცხადდა ახალი ტენდერი. გამარჯვებული კლინიკა გახდა შპს ,,მედიჰელფი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 4 000 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 3 001 ლარი. ინდივიდუალური სამედიცინო კომისიის მიერ დადებითად გადაწყდა 24 ბენეფიციარის (30 ეპიზოდი) დაფინანსების საკითხი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 4 000 ლარი.

  ახალი ტენდერში გამარჯვებული გახდა კლინიკა შპს ,,მედიჰელფი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 2 999 ლარზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 17 ბენეფიციარი (27 ეპიზოდი). ეკონომიამ შეადგინა 3 427 ლარი.

  სულ საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 72 ბენეფიციარი (117 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 14 997,6 ლარი.

- თვალის ლაზერული ქირურგიული მომსახურების კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 26 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა კლინიკამ შპს ,,ახალი მზერა“. პროგრამა ითვალისწინებდა ბენეფიციარებისათვის თვალის რეფრაქციული ანომალიის კორექციას (18 ეპიზოდი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 11 ბენეფიციარი (18 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 26 000 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა* გულისხმობდა საპროგნოზო პერიოდში ჰოსპიტალური დახმარების პროგრამის რეალიზებას, რომლის კომპონენტები (კორონარული ანგიოგრაფიის მომსახურება და ორივე ზედა და ქვედა კიდურის პერიფერიული

არტერიოგრაფია) მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების გზით ბენეფიციარებისათვის იმ დახმარების გაწევას, რაც დარჩენილი იყო სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მომსახურების ჩამონათვალის მიღმა, მათ შორის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებისა.

პროგრამა ამოქმედდა მ.წ. 24 მარტიდან. ბიუჯეტი განისაზღვრა 25 000 ლარით. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,იოანე მოწყალის სახელობის პრივატ კლინიკამ“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 20 335 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 4 665 ლარი.

სულ საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:

- კორონაროგრაფია – 29 ეპიზოდი;
- ორივე კიდურის პერიფერიული არტერიოგრაფია – 5 ეპიზოდი.

ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 20 335 ლარი.

პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი (კორონარული ანგიოგრაფია) ამოიწურა. არსებული ეკონომიის (4 665 ლარი) ხარჯზე გამოცხადდა ახალი ტენდერი, რომელშიც კვლავ გაიმარჯვა შპს ,,იოანე მოწყალის სახელობის პრივატ კლინიკამ“. გაფორმდა ხელშეკრულება 4 606 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 59 ლარი.

სულ, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 36 კორონაროგრაფია და 5 არტერიოგრაფია. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 24 941 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამა*

სულ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40 000 ლარით.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კლინიკა ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“ სატენდერო თანხით 20 000 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 20 000 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიამ დააკმაყოფილა 135 ბენეფიციარის განცხადება. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 20 000 ლარი.

წინა ტენდერის ეკონომიიდან (20 000 ლარი) 10 000 ლარი, ბიუჯეტში ცვლილების სახით, მიმართულ იქნა ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტის განხორციელებისათვის, ხოლო დარჩენილ 10 000 ლარზე გამოცხადდა ახალი ელექტრონული ტენდერი სარეაბილიტაციო მომსახურების შესყიდვაზე. გამარჯვებული კვლავ გახდა კლინიკა ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 6 995 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 3 005 ლარი. პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო მომსახურება გაეწია 40 ბენეფიციარს.

სულ საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 175 ბენეფიციარი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 26 995 ლარი.

- *რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური კვლევისა და მკურნალობის მეთოდების დახმარებით წყვილთა უნაყოფობის ზუსტი დიაგნოსტიკა და პროფილაქტიკა.

  პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30 000 ლარით. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,აკ. ბ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრმა ენმედიცი“ საბოლოო თანხით 24 000. ეკონომიამ შეადგინა 6 000 ლარი.

  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 14 წყვილის ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის 8 წყვილის – სრულად, ხოლო 6 წყვილის – არასრულად. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 8 930,29 ლარი.

  პროგრამის სტაციონარული ნაწილი მოიცავდა დიაგნოსტიკური ლაპარასკოპიის 10 ეპიზოდს. დაფინანსდა 3 ბენეფიციარი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 4 050 ლარი.

  სულ პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 12 980,29 ლარი, ხოლო ნაშთმა – 11 019,71 ლარი.

ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია სულ 846 ბენეფიციარს (899 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 200 512 ლარი.

- *აფხაზეთიდან იგპ-თა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, დევნილთა მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

  პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 75 000 ლარით. განხორციელება დაიწყო მ.წ. მეორე კვარტალში.

  ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა:

  - კახეთის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) და ქვემო ქართლის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) რეგიონებში – გასინჯვებს აწარმოებდნენ ,,აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, თვალის კლინიკის ,,ახალი მზერა“ სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. გაისინჯა 150-მდე ბენეფიციარი. განხორციელდა 600-მდე ვიზიტი. ღონისძიებაზე დაიხარჯა სულ 4 525,094 ლარის მედიკამენტი;

- იმერეთის რეგიონში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) – გაისინჯა 200 ბენეფიციარი, მათ შორის სამტრედიაში და დიდ ჯიხაიშში ჩასახლებული იგპ-ები და სამტრედიის მკვიდრი მოსახლეობა. ამავე ღონისძიების ფარგლებში, ქ. ქუთაისში ჩატარდა აფხაზეთის №6 საჯარო სკოლისა და სსიპ აფხაზეთის №5 საჯარო სკოლის მოსწავლეების გასინჯვა ბრტყელტერფიანობისა და ტანდეგობის დარღვევის აღმოსაჩენად. გაისინჯა 130 ბავშვი. სულ გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 800-მდე ვიზიტი ექიმთან;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში – გაისინჯა 70-მდე ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ ბაკურციხეში, საგარეჯოსა და გურჯაანში ჩასახლებული დევნილები). განხორციელდა 300-მდე ვიზიტი ექიმთან;
- ქვემო ქართლის (მარნეულის მუნიციპალიტეტი) რეგიონში – გაისინჯა 80-მდე ბენეფიციარი, მათ შორის მარნეულში, თამარისსა და შაუმიანოვკაში ჩასახლებული იგპ-ები. განხორციელდა 400-მდე ვიზიტი ექიმთან;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (სენაკი, სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის დასახლება) – სულ მიღებულ იქნა 250-მდე ბენეფიციარი, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული დევნილები, სენაკში ჩასახლებული იგპ-ები და ადგილობრივი მოსახლეობა. სულ გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 1200-მდე ვიზიტი ექიმთან. ღონისძიებაზე დაიხარჯა სულ 4 722,19 ლარის მედიკამენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქ. ზუგდიდი) – დევნილი მოსახლეობის თხოვნით. მემორანდუმის ფარგლებში გასინჯვებს აწარმოებდნენ თბილისის კლინიკების (შპს ,,ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი ,,მზერა“, აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი) წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. სულ მიღებულ იქნა 350-მდე ბენეფიციარი განხორციელდა 1600-მდე ვიზიტი ექიმთან;
- იმერეთის რეგიონში (ქ. წყალტუბო, კოპიტნარის დასახლება) – მემორანდუმის ფარგლებში გასინჯვებს აწარმოებდნენ თბილისის კლინიკების (შპს ,,ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი ,,მზერა“, აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თვალის კლინიკა შპს ,,ახალი მზერა“, კლინიკა ,,ენმედიცი“, ,,ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ,,ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა“) წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. სულ მიღებულ იქნა 500-მდე ბენეფიციარი. განხორციელდა 2300-მდე ვიზიტი ექიმთან;

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) – გასინჯვებს აწარმოებდნენ თბილისის კლინიკების (შპს ,,ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, ,,კ. ერისთავის სახ. ქირურგიის ეროვნული ცენტრი“, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი ,,მზერა“, ფ. თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯი“, კლინიკა ,,ენმედიცი“, ,,ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი“) წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. ჯვარსა და წალენჯიხაში სულ მიღებულ იქნა 600-მდე ბენეფიციარი. განხორციელდა 2500-მდე ვიზიტი ექიმთან;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარჩელი) – სულ მიღებულ იქნა ფოთში 250-მდე ბენეფიციარი (1000 ვიზიტი), ხოლო დარჩელში – 100 ბენეფიციარი (300 ვიზიტი);
- ქვემო ქართლის რეგიონში (ქ. რუსთავი) – გასინჯულ იქნა 150-მდე მოქალაქე, განხორციელდა 700-მდე ვიზიტი ექიმთან;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ქ. ბორჯომი) – გასინჯულ იქნა 130-მდე მოქალაქე, განხორციელდა 600-მდე ვიზიტი ექიმთან.

ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს როგორც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ.

,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სულ გაისინჯა 3 000 ბენეფიციარი, განხორციელდა 12 300 ვიზიტი ექიმთან. გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში სულ გაცემულია 51 491, 046 ლარის მედიკამენტი. პროგრამაზე გამოყოფილი 75 000 ლარიდან ათვისებულ იქნა 74 721,91 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 278,09 ლარი.

გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეგიდით და სამინისტროს ორგანიზებით, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა ერთობლივი აქცია კლინიკასთან ,,ენმედიცი“, რომელიც მოიცავდა:

- აფხაზეთიდან დევნილი მრავალშვილიანი დედების სამედიცინო გასინჯვებს. მიღებულ იქნა 20 ბენეფიციარი, განხორციელდა 130-მდე ვიზიტი ექიმთან. საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოკვლეული იყვნენ აგრეთვე მრავალშვილიანი დედების ოჯახის წევრებიც;
- აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების სამედიცინო გასინჯვებს, პედიატრის, ოჯახის ექიმისა და ვიწრო სპეციალისტების (ოტორინოლარინგოლოგი, ნევროლოგი,

ფსიქოთერაპევტი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, დერმატოლოგი) კონსულტაციებს, სხვადასხვა სისტემის ექოსკოპიურ გამოკვლევას, სისხლის საერთო ანალიზს და TSH-ის განსაზღვრას სისხლში. მიღებულ იქნა 20 ბენეფიციარი, განხორციელდა 130-მდე ვიზიტი. ბავშვებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ ,,მზერას“ შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ ბენეფიციარებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა ექიმთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ოფთალმოლოგი, მამოლოგი, გინეკოლოგი, ენდოკრინოლოგი, ქირურგი, თერაპევტი, დერმატოლოგი, ვენეროლოგი, ექოსკოპისტი, რენტგენოლოგი, მამოგრაფი და პროქტოლოგი. აქციის ფარგლებში გაისინჯა 100 დევნილი და დაფიქსირდა 300-მდე ვიზიტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებდა როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხელშემწყობ საქმიანობას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, განსახლებას. 2016 წელს სამინისტროს დახმარებისათვის მიმართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 1 497-მა პირმა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, ქ. თბილისში, კალოუბნის ქ.№16-ში მდებარე სამედიცინო კორპუსში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები 66 კვ.მ ფართობზე. აღნიშნული პროექტის რეალიზების შედეგად სამინისტროს განკარგულებაშია 2 საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო და სველი წერტილი. ეს ბლოკი იზოლირებულია კორპუსში განთავსებული დაწესებულებებისგან, რაც შესაძლებლობას იძლევა, აუცილებლობის მიხედვით, აფხაზი პაციენტების თანმხლები პირები განთავსდნენ ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში. საანგარიშო პერიოდში რეფერალური ობიექტით ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 43 ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესის“ შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში შემოვიდა აფხაზეთიდან იგპ-თა სულ 2 354 განცხადება. აქედან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში მომზადდა შუამდგომლობის 2 019 წერილი სამედიცინო დახმარების თაობაზე. ბენეფიციართა დაფინანსების საკითხი, უმეტეს შემთხვევაში, გადაწყდა დადებითად.

განათლება, კულტურა, სპორტი

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- ,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

  - აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა – საკლასო ოთახებისათვის საჭირო მასალების შესაძენად – 999 ლარი;
  - აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა – შენობის დაზიანებული ფანჯრების შეკეთებისათვის –1 000 ლარი;
  - აფხაზეთის №12 სკოლა:

    – ლაბორატორიის აღჭურვა – 1 920 ლარი;

    – მუსიკალური ცენტრისა და პროექტორის შესაძენად – 920 ლარი;
  - სსიპ ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა – 2 000 ლარი;
  - აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა – 2 000 ლარი.

- ,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“

  საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 229 განცხადება. პროექტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 149 წარმატებული ახალგზარდა აფხაზეთიდან;

- ,,აფხაზური ენის პედაგოგების გადამზადების ქვეპროგრამა“

  განხორციელდა აფხაზური ენის პედაგოგების პროფესიული განვითარების ტრენინგი მასწავლებელთა განვითარების პროფესიული ცენტრის მიერ შექმნილი აფხაზური ენის პედაგოგების გადამზადების ტრენინგ-მოდულის მიხედვით. გადამზადება გაიარეს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგებმა, მასწავლებლობის მსურველმა პირებმა და სოხუმის უნივერსიტეტის აფხაზური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა (12 ბენეფიციარი);

- ,,შემეცნებითი საგანმანათლებლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მოზარდებისათვის“

  პროგრამის ფარგლებში:

  - 20 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდს შპს ,,გარდენიაში“ ჩაუტარდათ მწვანე გაკვეთილების კურსი. პროექტის ბენეფიციარებმა მოხატეს ქოთნები და ჩარგეს სანერგე ყვავილები. მოზარდებს გადაეცათ საჩუქრები;

- 25 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მოეწყო გასვლითი ღონისძიება ქალაქგარეთ – სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წმინდა ადგილების მოლოცვა;

- ,,საზაფხულო ბანაკი“

საანგარიშო პერიოდში მაღალი აკადემიური მოსწრების, საზოგადოებრივ და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიხედვით შერჩეულმა 30 მოსწავლემ აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან და ოკუპირებული ტერიტორიიდან დაისვენა ქობულეთში, გაიარა ტრენინგები, მონაწილეობა მიიღო სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში, მოეწყო ექსკურსია კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე;

- ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“

ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულ იქნა 8 წარდგინება-რეკომენდაცია. ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტს;

- ,,აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

– 550 ლარით დაფინანსდა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების მგზავრობა გასვლით სამეცნიერო კონფერენციაზე ჩაქვში;

– პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ შემდეგი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას:

  - ლია ახალაძე – „აფხაზეთის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები“ (ინგლისურ ენაზე) – 1 500 ლარი;
  - ჯემალ გამახარია – „მასალები საქართველოს ეგზარქოს ნიკონის (სოფიელი) მკვლელობის შესახებ და საეკლესიო ისტორიის ზოგიერთი საკითხი (რუსულ ენაზე) – 2 800 ლარი;
  - გიორგი მამულია – „აფხაზური არისტოკრატია ემიგრაციაში“ (ქართულ და რუსულ ენებზე) – 3 000 ლარი;
  - ნუგზარ მგალობლიშვილი – „აფხაზეთის ტრაგედია რუსეთის საზოგადოების სამსჯავროზე“ (რუსულ ენაზე) – 3 000 ლარი;
  - თეიმურაზ მჟავია – „აფხაზეთის/საქართველოს ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები“ (თურქულ ენაზე) – 5 700 ლარი;
  - ქეთევან მარგიანი – „დევნილთა მეტყველება“ (მასალები ქართველურ ენათა შესწავლისთვის) – 1 500 ლარი;
  - გივი როგავა – „აფხაზები და აფხაზეთი“ – 1 500 ლარი;

- ტიტე მოსია – „ქართული სასულიერო მწერლობის სახის მეტყველებიდან“ – 1 500 ლარი;
- ბეჟან ხორავა – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ – 950 ლარი;
- დაზმირ ჯოჯუა – აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „შრომები“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ტ. IV) – 525 ლარი.

ზემოაღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების საერთო ჯამმა შეადგინა 22 525 ლარი, ხოლო ჩატარებული ტენდერის გათვალისწინებით ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 16 975 ლარი.

- ,,აფხაზეთის მოზარდები მედია პროექტში ,,ეტალონი“

  მედია პროექტში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 30 მოზარდმა. გაიმარჯვა აფხაზეთის №12 საჯარო სკოლის მოსწავლემ. ფინალისტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები;

- ,,ბეჭდვითი გამოცემები“

  საანგარიშო პერიოდში გამოიცა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსების კრებული, ასევე ბიოგრაფიული ხასიათის წიგნი ქართულ-აფხაზურ ენაზე – ,,მერაბ კოსტავა“, რომელიც მოკლედ და ლაკონურად ასახავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საქართველოს გმირის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

- საღამოები

  ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო საქართველოს სახალხო არტისტების – სერგო პაჭკორიას, გიორგი რატიანისა და თინა ბაბლიძის საიუბილეო საღამო. ღონისძიების დასრულების შემდეგ სახალხო არტისტებს გადაეცათ საჩუქრები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი;

- ,,საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“

  ვ. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა წარმოდგენა ,,საახალწლო ზღაპარი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა. ზეიმს დაესწრნენ აფხაზეთიდან დევნილი 4-10 წლამდე ასაკის ბავშვები, მათ შორის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირის ,,ჰერა“ წარმომადგენლები. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ბავშვებს დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები;

- ,,ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ“

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,დიოსკურია“, რომელიც გასტროლებზე იმყოფებოდა ესპანეთში;

- ,,აფხაზეთის დღე“

  გაიმართა შემოქმედებითი საღამო აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით;

- ,,სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა“

  ქვეპროგრამის ფარგლებში:

  - სტარტი აიღო საკალათბურთო სამოყვარულო ლიგის სეზონის გათამაშებამ, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენებით დაკომპლექტებული კალათბურთის სამოყვარულო გუნდი ,,აფხაზეთი“. საქართველოს მოყვარულ კალათბურთელთა 15 გუნდს შორის აფხაზეთის გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა;
  - ესტონეთის საერთაშორისო ტურნირში აფხაზეთის გუნდის სპორტსმენებმა ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში დაიკავეს სამი პირველი და სამი საპრიზო ადგილი;
  - დაფინანსდა აფხაზეთის სპორტსმენთა (კარატე, ფარიკაობა) მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებზე თურქეთში;
  - შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი და ეკიპირება დევნილი სპორტსმენებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში;

- ,,ტურნირები და აფხაზეთის ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში“

  - ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სპორტსმენებმა;
  - ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის და საქართველოს სხვა რეგიონების, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები, რომლებიც დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დიპლომებით, თასებით და მედლებით.
  - დაფინანსდა აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ტურნირი მინი-ფეხბურთში;
  - ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში (სწრაფი ჭადრაკი), სადაც მონაწილეობა მიიღეს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა, ასევე მოწვეულმა სპორტსმენებმა;

- ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო 400-მდე სპორტსმენმა ქ. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ტურნირში ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით;

- ,,ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოება“

ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ მუშაკებსა და სპორტსმენებს გადაეცათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელები და ფასიანი საჩუქრები;

- ,,გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება”

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების 113 პედაგოგი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;

- ,,ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის გამოცემა“

აფხაზი მოდერნისტი მხატვრის, სცენოგრაფისა და წიგნების ილუსტრატორის – ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (400-მდე ექსპონატი). ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში მიმდინარეობდა მისი სამუზეუმო ექსპონატების ფოტო ფიქსაცია. დაიბეჭდა აგრეთვე ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების კატალოგი;

- ,,აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ელექტრონული ონლაინ მუზეუმი“

ქვეპროგრამის ფარგლებში შპს ,,ბიზნეტიქსმა“ დაასრულა მუშაობა ვირტუალური მუზეუმის პროგრამული ნაწილის შექმნაზე. მიმდინარეობს ონლაინ მუზეუმის არქეოლოგიური და ხელნაწერების საგამოფენო დარბაზების შესავსებად საჭირო მასალების მოძიება;

- ,,აფხაზეთის ტაძრების დეტალური რუკა“

ქვეპროგრამით განსაზღვრული მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში დასრულდა მუშაობა აფხაზეთის ხუროთმოძღვრული რუკის ელექტრონულ ვერსიაზე, რის შედეგადაც მასზე, საერთო ჯამში, დატანილ იქნა 176 არქიტექტურული ნაგებობის კოორდინატი არსებული მდგომარეობის მითითებით. დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების 400 რუკა;

- ,,საგანმანათლებლო-საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის“

  გორის რაიონში, ატენის ხეობაში, მდინარე ტანას მახლობლად 5 დღის განმავლობაში მოეწყო კარვების ქალაქი, რომელშიც განთავსდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 40 მოსწავლე. ახალგზარდები უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით, საძილე ტომრებით, ე.წ. პარალონებითა და კარვებით. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისათვის განხორციელდა სპორტულ-გასართობი შინაარსის ღონისძიებები, აგრეთვე მოეწყო ლაშქრობები ატენის ხეობაში (წეროს ხევის ეკლესია, ატენის სიონი, ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესია, წმინდა ელოს სახელობის ეკლესია).

ეკონომიკის სფერო

ბიზნეს სექტორი

2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავს როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ასევე სსიპ “საწარმოთა მართვის სააგენტო”, საშუალოდ 1 545 (მ.შ. მე-4 კვარტალში – 1 532) კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 16 452,0 (მ.შ. IV კვარტალში – 4 692,8) ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 887,4 (მ.შ. IV კვარტალში – 1 021,1) ლარი.

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2016-2015 წ.წ. მოქმედ ფასებში





როგორც №4 დიაგრამიდან ჩანს, 2016 წელს საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში ერთ მომუშავეზე დაფიქსირდა 887,4 არის დონეზე, რაც 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან (800,9 ლარი) შედარებით გაიზარდა 86,5 ლარით ანუ 10,8 პროცენტით.

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2016 წელს ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 59 869,3 (მ.შ. IV კვარტალში – 10 132,3) ათასი ლარით.

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2016-2015 წ.წ.



დიაგრამიდან №5 ჩანს, რომ 2016 წელს პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (45 575,6 ათასი ლარი) გაიზარდა 6 748,8 ათასი ლარით, ანუ 12,7 პროცენტით.

2016 წელს პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (98,7%) მოდის ენერგეტიკაზე – 59 119,0 (მ.შ. IV კვარტალში – 9 866,9) ათასი ლარი, ხოლო სამედიცინო პროფილის საწარმოებზე (პოლიკლინიკები) – 686,8 (მ.შ. IV კვარტალში – 241,2) ათასი ლარი (1,1%).

2016 წელს ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 4 199,8 (მ.შ. IV კვარტალში – 836,5) მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (3 888,1 მლნ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 8%-ით.

საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1 147 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 077,7 ლარით (მ.შ. IV კვარტალში – 1 247,5), რაც

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

117,4 ლარით, ანუ 12,2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (960,3) შედარებით.

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2016 -2015 წ.წ.



დიაგრამა № 7: ენერგოსაწარმოებში საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2016-2015 წ.წ. მოქმედ ფასებში



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მართვაში იყო 15 შპს, რომელთაგან 14 საწარმო წარმოადგენდა სამედიცინო პროფილის დაწესებულებას (პოლიკლინიკები).

2016 წლის შედეგებით ფაქტიური შემოსავალმა შეადგინა სულ 2 262 598 ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელს (2 021 652) აღემატება 240 946 ლარით, ანუ 11,9 %-ით, ხოლო ფაქტიური წმინდა მოგება განისაზღვრა 129 833 ლარით, რაც გეგმიურ მაჩვენებელს აღემატება (116 552) აღემატება 13 281 ლარით, ანუ 11,4%-ით.

2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა როგორც შემოსავლების, ისე მოგების მაჩვენებლები. კერძოდ, ფაქტიური შემოსავალი გაიზარდა 89 980 ლარით, ანუ 4,2%-ით, ხოლო ფაქტიურად მიღებული წმინდა მოგება – 40 153 ლარით, ანუ 44,8%-ით.

დიაგრამა № 8: შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2016-2015



დიაგრამა № 9: შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2016 წელს



ფაქტიურმა დანახარჯებმა შეადგინა სულ 2 116 184 ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელს (1 884 534) აღემატება 231 650 ლარით, ანუ12,3%-ით.

მოგების გადასახადმა შეადგინა 22 911 ლარი.

ამავე პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 500-მდე პირი.

მოგების თანაფარდობამ შემოსავალთან შეადგინა 6,8%.

აღსანიშნავია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 29 იანვრის დადგენილებით შექმნილი ***სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ,,ბიზნესინკუბატორი“*** (შემდგომ – ,,ბიზნესინკუბატორი“) საქმიანობა, რომელსაც მართავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. მას დაევალა აფხაზეთიდან იგპ-თათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების ხელშეწყობა, იგპ-თა სწავლება/სტაჟირება, მცირე ბიზნესში ჩართვა. ამ მიზნით ,,ბიზნესინკუბატორს“ გადაეცა 2012-2013 წ.წ. გაკოტრებული და აუქციონებზე გაუყიდავად დარჩენილი ყოფილი სს ,,ელექტრომექანიკოსის“ 17 ათასი კვ.მ ტერიტორია, მათ შორის ამორტიზირებული შენობა-ნაგებობები 10,5 ათასი კვ.მ. ქ. ქუთაისში.

2016 წლის დასაწყისისათვის ,,ბიზნესინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული ფართებიდან კომერციულად დატვირთული იყო 1 839 მ^2. 2016 წლის III კვარტლის დასაწყისისათვის იჯარით გაცემული ფართი შეადგენდა სულ 2 279 მ^2.

მიმდინარე წელს საბოლოოდ დასრულდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და USAID/NEO ერთობლივი ინიციატივის განსახორციელებლად ,,ბიზნესინკუბატორისათვის“ გადმოცემული სასათბურე კონსტრუქციების აუქციონის

წესით გადაცემა. აუქციონის შედეგად, ააიპ ,,აგორამ“ 960 $м^2$ დაამონტაჟა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, ხოლო 1 920 $м^2$ – ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში. რუხში სასათბურე მეურნეობის მოწყობას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა იაპონიის საელჩომ.

იჯარით გაცემის მიზნით ელექტრონულ აუქციონზე გამოტანილ იქნა ,,ბიზნესინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული 960 $м^2$ სათბურები. გამოვლინდა გამარჯვებული – შპს ,,ბილდი“, რომელთანაც გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით.

საანგარიშო პერიოდში სსიპ ,,ბიზნესინკუბატორს“ უვადო სარგებლობაში გადაეცა შენობა-ნაგებობა №9 6767,36 $м^2$ ფართით და მასზე ნაწილობრივ დამაგრებული მიწის ნაკვეთით.

ახალ გადაცემულ ფართზე კომერციულად, დამატებით დაიტვირთა დაგეგმილი 300 $м^2$ ფართი.

საანგარიშო წლის განმავლობაში 12-მა ახალგაზრდამ გაიარა სტაჟირების სრული კურსი.

2016 წელს ,,ბიზნესინკუბატორის“ იჯარის შემოსავლებმა სულ შეადგინა 29 102 ლარი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 11%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია სულ 7 985 ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 3 740 ლარის მოცულობით.

სოფლის მეურნეობა

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს RCDA ცენტრში დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: ,,სოფლად მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და აგრარულ სექტორში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებში დევნილთა ჩართულობა: პრობლემები და პერსპექტივები“. მოეწყო ინოვაციური ტექნოლოგიების დემონსტრაცია და აფხაზეთიდან იგპ-თა მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა. წარმოჩენილ იქნა ის რესურსი, რომელიც გააჩნია ორგანიზაციას დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტსა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტს ,,ZRDA” შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მდ. ენგურის გასწვრივ, ე.წ. ,,გამყოფ ხაზთან“ მდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები დევნილებისათვის საარსებო წყაროების შექმნას გულისხმობდა. დეპარტამენტმა, ,,ZRDA”-ს ტექნიკური მხარდაჭერით,

უზრუნველყო ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონის 16 სოფელში მცხოვრები იგპ-ებისათვის 10000 m^2 სასათბურე კონსტრუქციისა და სათანადო აღჭურვილობის ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემა. 2016 წელს დასრულდა ამ პროექტის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებში სამიზნე სოფლებში შეიქმნა 14 მარტივი ტიპის სასათბურე მეურნეობა. მეორე ეტაპის განხორციელება იგეგმება 2017 წელს და დამატებით შეიქმნება 10 სასათბურე მეურნეობა;

- მემორანდუმი გაფორმდა ასევე საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრთან ,,აფხაზეთი“. შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სოციალურად დაუცველი პირების საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. დეპარტამენტმა, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს აფხაზეთიდან იგპ-თა და სხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის სოფლის მეურნეობის დარგში საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელი პროექტების 0,1 ჰა სასათბურე კონსტრუქციით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარდა შინაური ცხოველებისა და ფუტკრის ოჯახების გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებები. სულ 22 სოფელში ვეტღონისძიებები ჩაუტარდა 9000-მდე შინაურ ცხოველსა და 1000-მდე ფუტკრის ოჯახს. მთლიანობაში გალის რაიონში მომსახურება გაეწია 2000-მდე კომლს. გალის რაიონის სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში განხორციელდა წყალმომარაგებისა და სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგი;
- გალის რაიონის სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდა წყალმომარაგებისა და სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგი;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ფიტოსანიტარული მდგომარეობის დასადგენად ჩატარდა საკონტროლო გამოკვლევები საკარმიდამო ნაკვეთებზე, საზოგადო ტერიტორიებსა და გზის განაპირა ზოლში. კვლევების შედეგად რეფში, ოტობაიაში, ჭუბურხინჯში გზის განაპირა ზოლში, ძირითადად თხილისა და ჭადრის ნარგავებზე, დაფიქსირდა ამერიკული თეთრი პეპლის II გენერაციის განვითარების ფაზა. 2013 წლის შემდეგ ეს არის ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების პირველი შემთხვევა გალის რაიონში. მცენარეთა დაცვის სპეციალისტების თანდასწრებით მოიჭრა და დაიწვა მავნებლის მატლებით დაზიანებული ტოტები. მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე თხილსა და სხვა მრავალწლიან მცენარეებს ჩაუტარდა ქიმიური ღონისძიებები. გატარდა სათანადო პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებები მავნებლების ,,ოქროკუდასა“ და ,,არაფარდი პარკიხვევიას“ მიმართ, რომელთა არსებობაც დაფიქსირდა განსაკუთრებით ფოთლოვანი ტყეების ახლო მდებარე სოფლებში (ზემო და ქვემო ბარღები, ფიჩორი, გაგიდა, ოტობაია, განახლება, მზიური და რეფი);

- ქ. გალში და 16 სოფელში 3 546 ოჯახს დაურიგდა 743 ლიტრი პრეპარატი ,,ალპაკი“, რითაც დამუშავდა 2 043 ფართობი;
- სსიპ ,,გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოსა“ და არასამთვარობო ორგანიზაციებს (კავშირი-ასოციაცია ,,აგორა“ და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN) შორის გაფორმდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები პროექტის ,,კოლხური ბზის საბაზისო სანერგე მეურნეობა“ იმპლემენტაციის მიზნით. ხელშეკრულების ფარგლებში ,,აგორამ“ კოლხური ბზის სანერგის მოწყობის მიზნით გამოყო 500მ^2 სათბური, ხოლო კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა CENN სათბურის ტექნიკურ აღჭურვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოავლინა გამარჯვებული. გარდა ამისა, ქ. ტყიბულში შეირჩა და მომზადდა 32 ათასი კალამი, რომელიც დაირგო რუხის სასათბურე მეურნეობაში;
- დუშეთში მცხოვრებ დევნილთა მომართვის საფუძველზე, სპეციალისტების მიერ, განხორციელდა საკარმიდამო ადგილებში განლაგებული საფუტკრეების საგაზაფხულო სარევიზიო შემოწმება ინვაზიური და ინფექციური დაავადებების გამოვლენის მიზნით. იმ საფუტკრეებს, რომელშიც გამოვლენილ იქნა დაავადებები (ნოზემატოზი, ასკოსფეროზი, სიდამპლეები), გაეწია სამკურნალო-პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელების რეკომენდაცია შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებით;
- შემუშავდა ერთი ბიულეტენი (,,სასათბურე კონსტრუქციები და მათი მოწყობის პრინციპები“) და 2 ცნობარი (,,აბრეშუმის პარკის წარმოება“ და ,,ჟოლოს მოყვანის პრაქტიკული ცნობარი“), რომელთა გამოცემაც იგეგმება 2017 წლის I კვარტალში;

გარდა ამისა, საზღვრისპირა სოფელ რიყეში აფხაზეთიდან დევნილი 15 ოჯახი მეორე წელია ამუშავებს დროებით სარგებლობაში გადაცემულ 10 ჰა მიწის ნაკვეთს. მ.წ. სექტემბერში აღებულ იქნა სიმინდის მარცვლის მოსავალი, რომელიც გადანაწილდა დევნილ ოჯახებზე.

მიერ მუდმივად მიმდინარეობს მეწარმეთა და ფერმერთა კონსულტირება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ:

- გარემოსდაცვითი პლატფორმის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც ეხებოდა ჰაერის დაბინძურების პრობლემას;
- მწვანეთა მოძრაობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში ,,სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“;
- დასუფთავების აქციაში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში ქ. თბილისში (ფონიჭალა), ზუგდიდსა და ქ. ბათუმში (ბენზეს დევნილთა ჩასახლება);

- ყოფილ ნაგავსაყრელ ტერიტორიაზე დაირგო 500 ძირი აკაციის ნერგი.

გარემოსდაცვითი პროექტების ფარგლებში დეპარტამენტის ინიციატივით მოეწყო საზაფხულო ბანაკი ბულაჩაურის მწვანე ცენტრში, რომლის პირველი ნაკადი დაკომპლექტდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩამოსული ახალგაზრდებით.

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში განკარგავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას, კერძოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა:

მოძრავი ქონება

- სსიპ ,,გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს“ – სარგებლობის უფლებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი საბალანსო ღირებულებით 745,0 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო სამმართველოს – სარგებლობის უფლებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული:
    - ძირითადი საშუალებები საერთო ღირებულებით 362,64 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 17,49 ლარი;
    - მცირეფასიანი ინვენტარი 498,0 ლარის ღირებულებით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ ,,გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ – სარგებლობის უფლებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული:
    - ძირითადი საშუალებები საერთო ღირებულებით 837,0 ლარი;
    - მცირეფასიანი ინვენტარი 188,0 ლარის ღირებულებით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი:
    - 4 სკამი საბალანსო ღირებულებით 300,0 ლარი;
    - პატარა კარადა საბალანსო ღირებულებით 210,0 ლარი;
- სსიპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრს“ – სარგებლობის უფლებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული:

- ძირითადი საშუალებები:
  - 3 მაგიდა საერთო ღირებულებით 1 301,90 ლარი;
  - რკინის სეიფი და სკამი საერთო ღირებულებით 550,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 266,57 ლარი;
- მცირეფასიანი ინვენტარი:
  - მაგიდა, ტუმბო, თარო 143,8,0 ლარის ღირებულებით;
  - 2 მაგიდა და 2 სკამი საბალანსო ღირებულებით 500,0 ლარი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ ,,აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრს" – სარგებლობის უფლებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული:
  - ძირითადი საშუალებები (პროცესორი, პრინტერი) საერთო ღირებულებით 1 165,0 ლარი;
  - მცირეფასიანი ინვენტარი (მონიტორი) 240,0 ლარის ღირებულებით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – სარგებლობის უფლებით ავტომანქანა ,,SKODA OCTAVIA", სახელმწიფო ნომრით AF-677-FA, საიდენტიფიკაციო №TMBAD4NE4F0096857;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს – სარგებლობის უფლებით ავტომანქანა ,,SKODA OCTAVIA", სახელმწიფო ნომრით FXF-576, საიდენტიფიკაციო №TMBCK21Z8C2172933;
- შპს ,,ავტოტრანსსერვისს" – სარგებლობის უფლებით:
  - ძირითადი საშუალებები საწყისი საბალანსო ღირებულებით 6 615,0 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 269,28 ლარი;
  - მცირეფასიანი ინვენტარი საწყისი საბალანსო ღირებულებით 225,0 ლარის ღირებულებით, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 2 039,75 ლარი;
  - ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ ჯეტა", სახელმწიფო ნომრით ZMS-247, საიდენტიფიკაციო №3VWSB69M52M169827, 2002 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 11 000 ლარი, ნარჩენი ღირებულება 2 178 ლარი;
  - ავტომანქანა ,,მიცუბიში L300", სახელმწიფო ნომრით VIV-691, საიდენტიფიკაციო №JMYHNP13WVA000314, 1997 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 400 აშშ დოლარი (ექვივალენტი 931,88 ლარი);
  - ავტომანქანა ,,მიცუბიში L300", სახელმწიფო ნომრით CAG-004, საიდენტიფიკაციო №JMBLZPO3WHAI02474, 1988 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 250 აშშ დოლარი (ექვივალენტი 582,43 ლარი);
  - მეორადი მობილური ტელეფონი ,,სონი ერიქსონი" საწყისი საბალანსო ღირებულებით 275 ლარი, საინვენტარიზაციო კოდი №100435.

უძრავი ქონება

- სსიპ ,,აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრს“ – ქ. თბილისში, დ. წყნეთში ,,გ“ ზონაში (ნაკვეთი 104/045), შენობა-ნაგებობა №1 მე-2 სართულზე მდებარე 793,40 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.20.01.104.045.01.501), საბაზრო ღირებულებით 416 000,0 ლარი;
- სსიპ ,,ბიზნესინკუბატორს“ – სარგებლობის უფლებით ქ. ქუთაისში გუგუნავას ქ. №1 (ნაკვეთი№2-2) 105 582,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.05.28.008) განთავსებულ შენობა-ნაგებობა №9-ში არსებული 6 767,36 კვ.მ ფართი;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადმოეცა:

მოძრავი ქონება

- შპს ,,სამსუნგ ელექტრონიკის ცენტრალური ევრაზიის საქართველოს წარმომადგენლობის“ მიერ – ნარჩენი ღირებულებით 29 798,19 ლარი;
- კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ:
  - ძირითადი საშუალებები საერთო ღირებულებით 269,28 ლარი;
  - მცირეფასიანი ინვენტარი (რკინის კონსტრუქციები) საბალანსო ღირებულებით 2 039,75 ლარი;
  - ,,ოპელ ვექტრა 1.6“ სახელმწიფო ნომრით HLH 262, 1995 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომერი – WOL000089S7597722 საწყისი საბალანსო ღირებულებით 8 530,0 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ – მიკროავტობუსის ტიპის სატრანსპორტო საშუალება MITSUBISHI L300 (8-ადგილიანი), სახელმწიფო ნომრით VIV-691,საიდენტიფიკაციო №JMYHNP13WVA000314, საწყისი ღირებულებით 4 150,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ – 2 ნოუთბუკი:
  - ASUS K50IJ – 250,0 ლარი;
  - DELL INSPIRON №5010 – 270,0 ლარი;
- საქართველოს შსს-ს მიერ 2 ავტომანქანა:
  - ,,SKODA OCTAVIA”, სახელმწიფო ნომრით FXF-576, საიდენტიფიკაციო №TMBCK21Z8C2172933 საწყისი საბალანსო ღირებულებით 35 009,66 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 25 907,14 ლარი;

- ,,SKODA OCTAVIA", სახელმწიფო ნომრით AF-677-FA, საიდენტიფიკაციო №TMBAD4NE4F0096857 საწყისი საბალანსო ღირებულებით 32 317,56 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 17 839,28 ლარი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ – ავტომანქანა ,,მერსედეს ბენც C 200" სახელმწიფო ნომრით FVF 308, 2000 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომერი – WDB2030451A008609 საწყისი საბალანსო ღირებულებით 15 000,0 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 8 690,29 ლარი, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი – AL1813455;

უძრავი ქონება

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მიერ – სარგებლობის უფლებით ქ. ქუთაისში გუგუნავას ქ. №1 (ნაკვეთი№2-2) 105 582,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.05.28.008) განთავსებული შენობა-ნაგებობა №9 მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად არსებობის ვადით.

სხვა სამუშაოები:

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ეფექტური მართვისა და მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან სისტემატურად მიმდინარეობს აფხაზეთის მთავრობის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების -- შპს „სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა", შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი", შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი აფხაზეთი", შპს „ავტოტრანსსერვისის" -- უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით სამუშაო ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
- დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე.
- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2015 წლის ფინანსური ანგარიშები;
- შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა (კორექტირებული, რეალური შემოსავლების გათვალისწინებით) საწარმოების 2016 წლის ბიზნეს გეგმები;

- საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით (ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებისათვის), ფულადი სახსრების დეფიციტის პირობებში, მისი ეფექტური და სწორი გამოყენების მიზნით, შემუშავებულ იქნა წინადადებები, კერძოდ ლიზინგის წესით საჭირო და აუცილებელი ძვირადღირებული სამედიცინო მანქანა-დანადგარების შეძენის შესახებ;
- საწარმოთა ფართით უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან.

გეოლოგია

აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო 2016 წლის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში მოძიებულ იქნა:

- საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ფონდური მასალები, რომლის საფუძველზე მომზადდა ინფორმაცია ოჩამჩირისა და გალის რაიონის ტერიტორიის ნავთობმატარებლობის შესახებ

  თხევადი ნავთობის გამოსავლების მესამეულ ნალექებში სამწუხაროდ არ არის, მაგრამ სხვა ნიშნები, რომელიც მიუთითებს ნავთობის არსებობაზე არის (ბიტუმიზირებული ქვიშაქვები, ბიტუმიანი თიხების, საწვავი გაზის გამოსავლები, გოგირდწყალბადიანი და მარილიანი წყლების წყაროები).

  გრძელდება მასალების მოძიება გუდაუთის შელფზე და მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობგაზიანობის, გეოდინამიკის და გეოეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ. ასევე მიმდინარეობს მუშაობა სანაპირო ზონის დინამიკური ქვესისტემების შესწავლაზე, გამოიყოფა სანაპირო ზოლის განსაკუთრებით საშიში უბნები, სადაც მიმდინარეობს პლაჟების ინტენსიური აბრაზია და მორფოლოგიური პროფილის ცვლილებები, რის შედეგადაც დაიგეგმება პრევენციული ღონისძიებები. ამ პროცესებში აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართვა, რათა შენარჩუნებულ იქნეს აფხაზეთის უნიკალური რეკრეაციული ეკოსისტემა.
- ახალი კოსმოსური სურათები, რის საფუძველზე განისაზღვრა აფხაზეთის დინამიკური რაიონის სანაპირო ხაზის თანამედროვე მორფოლოგიური პროფილი;
- ინფორმაცია აფხაზეთიდან ინერტული მასალების გატანის შესახებ.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში:

- შესწავლილ იქნა 1960 წლიდან დღემდე აფხაზეთის სანაპირო ხაზის მორფოლოგიური პროფილის ცვლილების დინამიკა, დადგინდა ფართობები სანაპირო ხაზის გასწვრივ, სადაც გააქტიურებულია აბრაზიული პროცესები;

- გაკეთდა სანაპირო ზოლის იდენტიფიკაცია დღევანდელ მდგომარეობასთან. დადგენილ იქნა დინამიკური პროცესების მიმდინარეობის მიმართულებები;
- დადგინდა აკუმულაციური და აბრაზიული ფართობები აფხაზეთის სანაპირო ზოლის გასწვრივ;
- გაკეთდა არსებული ფონდური მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი, საბადოების ეკონომიკური და გეოეკოლოგიური შეფასება.

  1930-1984 წლების კარტოგრაფიული მასალების ანალიზმა და დისტანციური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოხუმის კონცხის დასავლეთ ნაწილში სანაპირო ხაზის ხმელეთისკენ გადაადგილებამ საშუალოდ შეადგინა 35მ. ამ პერიოდში კონცხის აღმოსავლეთ სანაპირო ხაზის გადაადგილება ხდებოდა ზღვისკენ და შეადგინა საშუალოდ 77მ, რაც გამოწვეული იყო ამ უბანზე შესასვლელი ხელოვნური მეჩეჩების მშენებლობით. კონცხის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლზე 1979-1984 წლების სტაციონალური დაკვირვებების მონაცემებით ნატანის აკუმულაციამ შეადგინა 14,1 ათასი $მ^3$. 5 წლის დაკვირვებებით სანაპირო ზოლის საშუალო გადაადგილებამ წელიწადში ზღვისკენ შეადგინა 0,5 მ/წელი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოში გეოლოგიური კვლევების დაწყებიდან 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ასევე, შპს ,,გეოგრაფიკის“ მიერ ორგანიზებულ XVII საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე ,,გეოინფორმაციული სისტემები და დისტანციური ზონდირება“.

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი

აღნიშნულ პერიოდში, აფხაზეთის მთავრობის დავალების თანახმად, შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გადაუდებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულებების დადგენა რეგიონების მიხედვით. ჩატარებული სამუშაოს მიხედვით დადგენილ იქნა ის ობიექტები, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

საპროექტო-სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქ. თბილისში, კალაუბნის ქ. #16-ში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულ პოლიკლინიკაში, რომლის საერთო ფართიდან გამოყოფილი 80 კვ. მ ფართი გადაკეთდა სასტუმროდ. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების

ღირებულებამ სულ შეადგინა 4 980,0 ლარი. ამავე პერიოდში პოლიკლინიკაში ჩატარებულ სანტექნიკურ სამუშაოებზე დაიხარჯა სულ 2 260,0 ლარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და არსებული პრობლემების გასაცნობად დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იყვნენ:

- ქ. სენაკში – ძველი სამხედრო აეროდრომის დასახლებაში, სადაც ამჟამად კომპაქტურად ჩასახლებული არიან იგპ-ები. ადგილზე დათვალიერების შემდეგ შედგა დეფექტური აქტი და დადგინდა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;
- ქ. ფოთში – იგპ-ებით თხოვნით, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ტერიტორიაზე, მრავალპროფილიანი საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ იქნა შენობის პროექტი და ლოკალური ხარჯთაღრიცხვა;
- ქ. ბათუმში – ბენზეს დასახლებაში, აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებზე, ადგილზე მდგომარეობის დათვალიერების შედეგად შედგა დეფექტური აქტი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ, კერძოდ: სარდაფიდან წყლის ამოტუმბვა, შენობის ირგვლივ დრენაჟების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა და შეკეთება. საკანალიზაციო სისტემის მოშლამ გამოიწვია კორპუსში ერთ-ერთ ბინაში სარემონტო და სანტექნიკური სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, რაზეც დახარჯულ იქნა 2 000,0 ლარი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაკეთდა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზის რეკონსტრუქცია (250 000,0 ლარი), რომელიც მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:
    - სცენის სახურავის მონტაჟი დეკორაციისა და ფარდების მოსაწყობად;
    - თეატრის დარბაზის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
    - ფოიეს მოშენება და ცალკე შემოსასვლელის მოწყობა;
- პურის საცხობისა და საკონდიტრო ცეხის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე ვაზიანში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის 250 კაცზე საბანკეტო დარბაზისათვის მეორე სართულის დაშენება. ლოკალურ-რესურსულმა ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 774 645,0 ლარი;
- დაბა წყნეთის პოლიკლინიკის ლაბორატორიის ხარჯთაღრიცხვა, რომელმაც შეადგინა 47 000,0 ლარი.

დოკუმენტაცია გადაეცა შემკვეთ ორგანიზაციებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2016 წელს შეადგინა 14 358,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 480,59 ათასი ლარი) 106,5%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

- საშემოსავლო გადასახადი – 5 183,1 ათასი ლარი. გეგმა (4 350,6 ათასი ლარი) შესრულდა 119,1 %-ით;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 9 000,0 ათასი ლარი. გეგმა (9 000,0 ათასი ლარი) შესრულდა 100%-ით;
- სხვა შემოსავლები – 175,79 ათასი ლარი, რამაც გეგმის (130,0 ათასი ლარი) 135,2% შეადგინა.

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 62,7% და 36,1% შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98,8 პროცენტია, ანუ დანარჩენ შემოსავლებზე მოდის მხოლოდ 1,2 პროცენტი.

დიაგრამა № 10: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2016 წ.



დიაგრამა № 11: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით 2016-2015წ.წ.



ცხრილი № 2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები 2016 წელს

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი გადასახდელებთან %
გადასახდელები – სულ	13992,6	13859,6	99,0	-133,0	100,0
შრომის ანაზღაურება	7861,0	7832,3	99,6	-28,7	56,5
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	981,6	962,0	98,0	-19,6	6,9
მივლინებები	123,9	115,1	92,9	-8,8	0,8
ოფისის ხარჯები	621,8	607,5	97,7	-14,3	4,4
წარმომადგენლობითი ხარჯები	46,0	43,5	94,4	-2,6	0,3
სამედიცინო ხარჯები	0,2	0,2	94,4	0,0	
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	6,8	4,7	68,6	-2,1	0,0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	345,0	336,3	97,5	-8,6	2,4
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	133,2	129,2	97,0	-3,9	0,9
სუბსიდია	2552,6	2549,0	99,9	-3,6	18,4
გრანტები	123,7	123,7	100,0	0,0	0,9
სოციალური უზრუნველყოფა	860,0	834,0	97,0	-26,0	6,0
სხვა ხარჯები	230,1	222,9	96,9	-7,2	1,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	101,8	94,3	92,6	-7,5	0,7
ვალდებულებების კლება	5,0	5,0	100,0	–	–

დიაგრამა № 12: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2016 წელს



დიაგრამა № 13: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2016-2015წ.წ.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 502,3 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები – 20,4 ათასი ლარით.